**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 134 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 134

**წლ ური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზე ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


## რედაქციისაგან

**პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 6 მან. 50 კაპ.**

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 3 მან. და ქალაქ გარედ 4 მან.

ვისაც გაზეთის ფული სრულად არა აქვთ შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანარჩენიც რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოს.


იძლევა ქირით

**ქართული თეატრი**

თავის მოწყობილობით. ყოველი ცნობების შეტყობა შეიძლება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა შენობაში, სადაც მოთავსებულია მამულების გამგე მმართველობის კანტორა. (10—3).

ვიღებ საეკლესიო **პანკელე-გის სამხატვრო საქმეებს.** მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი პრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელიტონ უანჩაველს. (15—9)

გამოვიდა და ისყიდება

**კატალოგი**

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილის (3—3)

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი** სთხოვს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ

საგანგებო საგუბერნიო კრებაზედ,

რომელიც დანიშნულია 12 ივნისისათვის 1904 წლ. დღისით 1 საათზედ თ-დ ქობულოვის სახლებში (არშაკუნიანისეული, გრიბოედოვის ქუჩაზედ) ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის მოგების გასანაწილებლად შედგენილ პროექტის განსახილველად და დასამტკიცებლად. (3—6—3).

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

**ქართული რუკა**

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ უმაღლეს მთავრობის ნება-რთვით ამიერიდგან მიიღება ხელის მოწერა შემოწირულებათა შესაკრებად აწ განსვენებულის დიდი მთავრინასი ოლღა თეოდორეს ასულის ძეგლის ასაგებად ტფილისში. (3 - 6.—3)

**ისყიდება**

პრიუტთან ახლოს მამული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე საუკეთესო წყაროებით. წლიური შემოსავალი აქვს 400 მან., აგრეთვე მსურს გავყიდო სოფელს ტყვიავში (გორის მაზრა) ექვსი დესეტინა: ახლად გაშენებული ბაღი, სახლკარი და სახნავი მამულები. მსურველს შეუძლიან ცნობების შეტყობა ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ სათავად-აზნაურო სახლი **გრიგოლ კორინთელთან.** (5—5).

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

**ქაჯანა**

2.

**ალი**

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ცასდადებითაც შემდეგის ადრესით: **Тифлисъ Общество распрстр. грамотности.**

**კერძო სამკურნალო**

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ძ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სოგოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. გეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

**გ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.


# ომის ამბები

## დეპეშები და წერილები.

შტაკელბერგის განზრახვა.—ვაფანდიანის ომი.—უცხოელების აზრი პორტ-არტურის შასახებ.—წვრილი ცნობები.

რა აზრი ჰქონდა გენერალ შტაკელბერგის გალაშქრებას სამხრეთისკენ და რავდენად შეასრულა გენერალმა მინდობილი საქმე,—ამაზედ ნამდვილი არა ითქმის-რა, მით უმეტეს, რომ ცნობები არა გვაქვს, რავდენი ჯარი ჰყავდა გენერალ შტაკელბერგსა და მის დასახმარებლად იგზავნებოდა კიდევ ჯარი, თუ არა. «სავაჭრო დეპეშათა სააგენტო» იუწყებოდა მუკდენიდგან, ვითომც რუსეთის მთავარსარდალს უნდოდა მტერი გაენაწილებინა, რომ შეერთებულის ძალით არ დასცემოდა პორტ-არტურს და ამ რიგად ერთის მხრივ ციხეზე იერიშის მიტანა შეეგვიანებინა და, მეორეს მხრივ, მტრის წინ მსვლელობა ჩრდილოეთისკენ შეეფერხებინა... ეს კი ცხადია, რომ გენერალ შტაკელბერგი პორტ-არტურის საშველად და დასახსნელად არ მიდიოდა, რადგან მანჯურიის ჯარის მთავარ-სარდალმა კარგად იცის, რომ ვიდრე რუსის ჯარი პორტ-არტურამდე ჩავიდოდა ნოძუს ორი დივიზია უნდა დაემარცხებინა და შემდეგ ოქუს ლაშქარი გაებნია. ამავე დროს მთავარ სარდალს უნდა სცოდნოდა, რომ ნოძუს ორი დივიზია სიუიანიდგან ჩრდილოეთისკენ მიდიოდა და შესაძლო იყო შტაკელბერგის ჯარისთვის გზა გადაეჭრა. უეჭველია, შტაკელბერგს ესეთი დიდი მოვალეობა არა ჰქონდა ნაკისრი. იმას უნდოდა გაეგო, როგორ არის იაპონელების ჯარი განაწილებული, საით მიდის, სად უფრო სუსტობს და როგორ შეიძლება მისი შეჩერება. ამასთანავე, შესაძლოა, შტაკელბერგს უნდოდა გაეგო რამე პორტ-არტურის მდგომარეობისა ან უმავთულო ტელეგრაფით ან არა და ჩინელ მენავეთა შუამავლობით. ეს მოვალეობა გენერალ შტაკელბერგმა თითქმის შეასრულა კიდეც.

25 მაისამდე პორტ-არტურიდგან ცოტაოდენი ცნობა მოდიოდა და მხოლოდ მაშინ შესწყდა, როდესაც შტაკელბერგმა უკან დაიწია. ეტყობა, იმას საქმე მოწყობილი ჰქონდა.

შტაკელბერგის ჯარმა მტერიც კარგა ხანს შეაფერხა. მარშალ ნოძუს ლაშქრის მოწინავე რაზმები 3 მაისს სენ-ჩენთან გამოჩნდა და მას შემდეგ არამც თუ წინ ველარ წამოვიდა არამედ უკან დაიხია.

მტრის ძალა და განზრახვა შტაკელბერგმა გამოარკვია. 2 ივნისის ბრძოლამ დაგვარწმუნა, სად და ვისთანა გვაქვს საქმე. შტაკელბერგს რომ სწორედ ის განძრახვა ჰქონდა, მტრის ძალა შეეტყოთო, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ მის ლაშქარში კავალერია მრავლად იყო შედარებით. გენერალ მიშჩენკოს ბრიგადის გარდა, რომელიც გაიჯოუ-სიუიანს შორის მოქმედებდა, გენერალ სამსონოვის ბრიგადაც და გენერალ სიმონოვის დივიზიაცა ვაფანგოუსთან იყო.

მართალია გენერალ-შტაკელბერგის ჯარი დიდად დაზიანდა, მაგრამ თავისი მოვალეობა შეასრულა და უკან დაიწია გაიჯოუსკენ. თუმცა ბრძოლის ველი იაპონელებს დაუთმო, მაგრამ ისინიც საშინლად დაზიანდნენ და ეგრე მალე ველარ მოახერხებენ წინ წამოსვლას (რ. ვ.)

—

გენერალ შტაკელბერგს საჩქაროდ რომ არ დაეწია თავის ჯარი გაიჯოუსკენ, იაპონელთა პირველ ლაშქრის სარდალი კუროკი აპირობდა თურმე 4 ივნისს გზა გადაეჭრა უკანიდგან გაიჯოუს ახლო და მოემწყვდიათ. გაიჯოუსთან რუსებს 35000 ჯარის კაცი ჰყავთ (რ. ვ.)

—

ვაფანგოუსთან დაჭრილ ჯარის კაცებს აი რა ამბავი მიუტანიათ ლიაოიანს: 2 ივნისს ბრძოლა დაიწყო დილის 5 საათზე და მზის ჩასვლამდე გაგრძელდა. წინა ღამეს ჩვენმა არტილერიამ მშვიდად გაატარა, თუმცა მტერს მუდამ ჟამს მოელოდა. დილით არტილერიამ მტრის მარჯვენა ფრთას დაჰკრა და ამავე დროს ქვეითი ჯარიც დაიძრა. იაპონელებმა ზარბაზნები დაუშინეს ჩვენს არტილერიასა და ქვეითს ჯარს. იაპონელები მსწრაფლ-მსროლელ ზარბაზნებმა ტყვია სეტყვასავით დაგვაყარეს და ქვეითი ჯარიც ძალიან დააზიანეს. სალდათები უშიშრად მიდიოდნენ წინ და ხან ხუმრობდნენ კიდეც. თუ რომ ყუმბარა თავს გადაევლებოდა ან მოშორებით გასკდებოდა და ბევრს არ დააზიანებდა, სალდათები ამბობდნენ: »ეს ჩვენი არ იყო, კეთილი ყოფილა, ჩვენი ყუმბარა ავიაო.» ერთი ჩვენი ბატარეა, რომელიც გადაშლილ ადგილს იდგა, სრულიად განადგურდა, სალდათები თითქმის სულ დაიხოცნენ. ჩვენს მარჯვენა ფრთაზე კავალერია დაიძრა და მტერს შეტევას უპირებდა, მაგრამ ქვეითმა ჯარმა უკუ აქცია. ომი თანდათან გაცხარდა და საღამოს 5 საათზე 15 ვერსის მანძილზე ჰქა-ქუხილი გაისმოდა. იაპონელები ისე ჯგუფ-ჯგუფად გვაწვებოდნენ, რომ ჩვენ იძულებული გავხდით ვანძიანილისკენ დაგვეწია. მთა-ადგილი, უტყეო სერები და გაშლილი ხეობები ვერ გვიფარავდნენ მტრის ტყვია-ყუმბარებისაგან, რომლებიც მაღლობიდგან მოდიოდა. ბრძოლა ისე თავდებოდა, რომ მოპირდაპირენი ერთმანეთს არ შებმიან ხელ და ხელ.

იაპონელებს მეტად ძლიერი არტილერია ჰქონდათ. ორასამდე მსწრაფ-მსროლი და მთა-ადგილს მოსახმარი ზარბაზნები იყო. გენერალი გერნგროსსი, დაჭრილი და თავშეხვეული, ცხენით დაჯირითობდა ჯარის წინ, წინამძღოლობას გვიწევდა და გვამხნევებდა (რ. ვ.).

—

გენერალი კუროკი ოფიციალურის დეპეშით აცნობებს თავის მთავრობას, რომ 29 მაისს ქვანიენხთან მისი რაზმი შეხვედრია ას ყაზახს და უკუ-უქცევია. მეორე დღეს იმავე რაზმმა რუსის მზვერავები გააქცია და თან გაედევნა შაკიშამდე, მდინარე კონს გაღმა, და ნაშუადღევისას ქვა-ინი დაიჭირა, სადაც 300 რუსის ჯარის კაცი ყოფილიყო მე-15 უსურიის პოლკისა, და 300 ჩინელი ავაზაკი. მტერი მდინარე ვატიჩას გავიდა და მიიმალა. ქვათენსთან რუსებს ორი კაცი მოუკალით და ორიც დაუჭერით, მათგან ერთი ტყვედ ჩაგვივარდა (რ. ვ.).

—

«ბერლინის ტაგებლატის» კორესპონდენტი პორტ-არტურის შესახებ საყურადღებო ცნობებს იძლევა და სცდილობს გამოარკვიოს, გენერალ-კუროპატკინმა რად მიატოვა და დასახსნელად არ მიდისო. გენერალ კუროპატკინმა შარშან შორეულ-აღმოსავლეთი მოიარა, პორტ-არტურიც დიდი დაკვირვებით დაათვალიერა, ზოგი პორტები თითონ გაამაგრებინა და დარწმუნდა, რომ პორტ-არტური პირველ-ხარისხის ციხე-სიმაგრეა და მისი აღება შეუძლებელიაო. სურსათი საკმაოდ არის, ერთის წლის სამყოფი, და ფქვილი ხომ წელიწად-ნახევარსაც კმარა. სასტუმროებსაც სანოვაგე და სასმელი ბლომად აქვთ დამზადებული. ფორტები მიუვალია, ბატარეები მტერს ახლო არ მიუწევებენ. ამ ჟამად ციხეში 40,000 ჯარის კაცია. სულ იქ მოიყარა თავი, რაც ლიაოდუნზე ჯარი იყო. მეციხოვნეთ 16 ვერსი აქვთ დასაცველი, ასე რომ თითო ვერსს 2,500 კაცზე მეტი მცველი ჰყავს. საერთოდ კი ვერსზე 1000 კაციც საკმარისად მიაჩნიათ; რაც უნდა გაჭირდეს საქმე, 1500 კაცზე მეტი არ არის საჭირო. მტერს ღამე ვერ მიეპარება, რადგან პროჟექტორები შორს ანათებენ. ამიტომ, საფიქრებელია, იაპონელები იერიშს არ მიიტანენ და ალყის შემორტყმას დასჯერდებიან, რომ მეციხოვნეები სიმშილით დაიმორჩილონ. ამას კი დიდის ხნის მოლოდინი უნდა. (ნ. ვ.).

—

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობას ქ. ხარბინში განცხადება გაუვრცელებია ჩინურ, მანჯურულსა და რუსულს ენებზედ, ვინც იაპონელთა ჯაშუშს და ბოროტ-განძრახველის დაჭერას გვიშველის 500 და 1000 მანეთი ჯილდო მიეცემაო. ეს ღონისძიება იმან გამოიწვია, რომ ბოროტ-მოქმედები რკინის გზის ლიანდაგს ხშირად აფუჭებენ. (მ. ვ.).

—

ადმირალ ალექსეევს ბრძანება გაუცია, რომ ვლადივოსტოკიდგან მოხელეებმა თავისი ცოლ-შვილი სხვაგან გაგზავნონ. (რ. ვ.).

—

«დეილი ტელ.»-ის სამხედრო მიმომხილველი ამბობს, პორტ-არტურის ფორტებ-

ზე იაპონელები 15—18 ივნისს მიიტანენ იერიშსაო, თუ რომ მოულოდნელი დაბრკოლება არ გაუჩნდათო. (ნოვ).

—

«მორნ. ფოსტი» და სხვა გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ პორტ-არტურის დღეები დათვლილია და ინგლისმა ეხლავე უნდა იფიქროს, როგორ უნდა გამოიყენოს შემდეგში ესეთი გაკვეთილიო. ზოგი გაზეთი ურჩევს ინგლისს ვეი-ხაი-ვეის თავი დანებე, რადგან არაფერში გამოსადეგი არ არის და მხოლოდ რუსეთის ჯიბრით დავიჭირეთო. ამ ნავთსადგურის დაჭერით ჩვენი თავი ჩვენვე მოვატყუეთ, გვეგონა შესაფერი სასყიდელი მივიღეთ, პორტ-არტური რომ რუსეთს დავუთმეთო. (ნოვოსტი).

—

ვენის გაზეთებს ატყობინებენ, ადმირალ სკრიდლოვის ესკადრის მოულოდნელმა და გაბედულმა თარეშობამ იაპონიის ზღვაზედ თავს ზარი დასცა იაპონელებსაო.

სიმონოსეკში დატვირთული გემები გაჩერდნენ და ზღვაზე გასვლას ველარა ჰბედავდნენო.

ნავოსნობა კორეასა და იაპონიის შორის შეჩერებულა.

შიშობენ, ვაი თუ ის ათი გემი და მრავალი სხვა ტრანსპორტებიც დაიღუპნენ, რომლებიც ამას წინათ აქედგან წავიდნენ, ვიდრე ვლადივოსტოკის ესკადრა გამოჩნდებოდაო. (ნოვოსტი).

# ტფილისი

—

*** დღეს, 10 ივნისს, კრება ექმნება ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნებს. ამის შემდეგ მხოლოდ ორი-სამი კრება-ღა ექმნებათ. ზაფხულის შემდეგ პირველი კრება 15 სექტემბერს იქმნება.

*** ვლადიმერ სარჭველია, რომელმაც ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესს სამმართველოსთან არსებულ შემნახველ კასიდან 1900 მანეთი გაიტაცა, ჯერაც ვერ იპოვეს. პასპორტი თან არ აქვს. მის შესაპყრობად წასულია შვიდი ბოქაული დარაჯებით.

*** ბელგიის უსახელო სიზოგადოება ძალიან სწრაფად აგებს ტრამვაის გზის ლიანდაგს. ელექტრონის ტრამვაის წესიერი მიმოსვლა, იმედი აქვთ, კათათვის ბოლო რიცხვებში დაიწყება, ვაგონები ელექტრონის ტრამვაისათვის უკვე გამოწერილია.

*** ის 300 მანეთი, რომელიც გადადებულია ტფილისის საბალოსნო სასწავლებლის ბაღის შესაკეთებლად, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ უკვე მიიღო მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულისაგან.

*** ტფილისის საზეინკლო სასწავლებლის დირექტორს გმნუზრახავს, ამ ზაფხულს სახელოსნო სასწავლებლის უფროსის კლასის მოსწავლენი წაიყვანოს ბაქოს იქაურ ნავთის ქარხნების დასათვალიერებლად.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობასა და ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის მზრუნველ კომისიის შეერთებულ კრებას შაბათს, 12 ივნისს, მსჯელობა ექმნება ქალაქის საერთო საავადმყოფოსათვის ადგილის მოძებნის თაობაზედ.

*** ტფილისში არსდება ახალი საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს ღონისძიებანი მიიღოს ჰლექის წინაალმდეგ. საზოგადოების წესდება გაგზავნილი იყო დასამტკიცებლად შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც წესდება უკვე შეუსწორებიათ და გამოუგზავნიათ განზრახულ საზოგადოების მეთაურთათვის. საზოგადოებას აზრად აქვს. მოაწყოს ტფილისს და სხვა ქალაქებსა და დაბებშიაც ჰლექის საწინააღმდეგო მუდმივი გამოფენა.

*** მდაბიო მოქალაქეთა შვილები, რომდესაც საშუალო სასწავლებელს ათავებენ, მოვალენი არიან მდაბიო მოქალაქეთა გამგეობიდან აიღონ მოწმობანი იმისი, რომ აღარ ექვემდებარებიან მდაბიო მოქალაქეთა გამგეობას. ასეთი მოწმობანი წელს ბევრს აქვს გიმნაზია დასრულებულთ ასაღები. ამიტომ მდაბიო მოქალაქეთა გამგეობამ წინადადება მისცა გიმნაზიების დირექტორებს, დააჩქარონ სწავლა დამთავრებულებმა, რომელთაც უმაღლესს სასწავლებელში უნდათ შესვლა, ასეთის მოწმობების მიღებაო. ერთის კვირის შემდეგ რწმუნებულნი აქეთ-იქით წავლენ და თუ ახლავ არ მოასწრეს მოწმობათა აღება, შემოდგომამდე ვერ აიღებენო.

*** ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა ხარჯის ამკრებ მამასახლისის ცნობათაგან სჩანს, რომ 1896-სა და 1897 წელს მდაბიო მოქალაქეებზე გადასახადი დარჩენილა—3.000 მანეთი. ტფილისის გუბერნატორმა რამდენჯერმე მისცა წინადადება გამგეობას, ფული ჩქარა აკრიბეო. მოქალაქეთა გამგეობამ შეუთვალა, ამ ფულის გადახდა ერთად ძალიან ძნელია, მით უფრო, რომ ზოგიერთნი, რომლებზედაც ითვლება გადასახადი, უკვე მოკვდნენო. გამგეობა სთხოვს, ამ ფულს ნაწილ-ნაწილად შემოვიტანთ რამდენისამე წლის განმავლობაშიო.

*** 15 დან 20 სექტემბრამდე შემოწმებულ იქმნება სია სათადარიგო ჯარისკაცთა. ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფილისის პოლიცმეისტერს და მაზრის უფროსებს, ამ დრომდე შეჰკრიბეთ და წარმოადგინეთ ყველა ის ცნობანი, რომელიც შეეხება ამ საგანსაო.

*** განუზრახავთ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოების მახლობლად სიფხიზლის საზოგადოების თეატრის ახალ შენობის აგება. შენობა იქმნება უფრო ფართო, ვიდრე ახლაა.

*** მოკლე ხანში ტფილისში მოწვეულ იქმნებიან ამიერ-კავკასიის რკინის გზის მკურნალები სამთო სანატორიებისა და მახლობლად მდებარე კურორტების კვასაცნობლად.

*** ამ ზაფხულს შეაკეთებენ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის შენობას. გადადებულია ქალაქის თვით-მმართველობის მიერ 1.675 მანეთი.

*** დღეიდან ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის პანსიონი გადატანილ იქმნება მანგლისში.

*** ამას წინად ალექსანდროპოლის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე სოფელ ბაიანდურის მცხოვრების ასლამაზოვისა, რომელმაც თავისი შვილი დაჰკლა ეკლესიაზე. ბრალდებულმა სასამართლოში განაცხადა, ჯერ შვილი არც კი მყავდა, რომ ავად გავხდი, ამ დროს გამომეცხადნენ წმიდა ნიკოლოოზ საკვირველთ-მოქმედი და წმ. იოანნე, და მითხრეს, ჩქარა შვილი გეყოლებაო და შემოგვწირეო... 1903 წელს, როდესაც შვილი გამიჩნდა, პირობისამებრ, დავუკალი წმიდანებსაო. ასლამაზოვი სულით-ავადმყოფთა თავ-შესაფარში წაიყვანეს.

# ჩვენებური ამბები

—

**ახალციხე.** აქაურ ქველმოქმედთა ქართველ ქალთა ერთ კლასიან სასწავლებელში, რომელიც 4 განყოფილებისაგან შესდგება, 18—19 მაისს მოხდა ბავშვთა წლიური გამოცდა.

საზოგადოდ ბავშვები კარგათ იყვნენ გამოცდაზე; რიგიანი ცოდნა ემჩნეოდათ, საუცხოვოთ კითხულობდნენ, მეტადრე ბუნების კარში III და IV განყ.. ბავშვები თვით უცნობს მოთხრობებსაც-კი. სამშობლო მხარე და ისტორიაც ჩინებულათ იცოდნენ.

I-ლ. და II განყ. ცოტა კი სუსტობდნენ, სუსტობდნენ მეტადრე I-ლ განყოფილების მოწაფენი. ეს ნაკლი ბავშვების ურიგოდ სიარულს უნდა მიეწეროს, ხშირათ გაუცდენიათ გაკვეთილები.

200—300 გაკვეთილის გამცდენი ბევრი აღმოჩნდა საკლასო წიგნიდგან; ერთის განაცდენი კარგად მახსოვს, რომელსაც 365 გაკვეთილი გაუცდენია...

ასეთ გარემოებას საჭიროა სასტიკი ყურადღება მიექცეს მასწავლებლებისაგან.

აქ ხელსაქმესაც ასწავლიან და როვნახეთ მოსწავლე ქალიშვილებს შვენიერი ბალიშის პირებზე ქსოვილი და ნაქარგი, გავკვირდით. იმედია, ჩვენი მოზარდი ქალიშვილები ხელსაქმესაც სასარგებლოდ გამოიყენებენ თავიანთ ცხოვრებაში.

ამ სასწავლებელში ქართველთა გარდა ებრაელებს, რუსების, სომხების, ბერძნების და პოლონელების ბავშვებიც სწავლობენ, რომელნიც ჩინებულათ სწერენ და კითხულობენ ქართულად.

დიდის მადლობის ღირსი ბძანდებიან ამ სკოლის მოთავენი ქ-ნი მარ. გამრეკელისა და ბ—ნი ყიფშიძე, რომელთა მზრუნველობას და თავადადებულებას სკოლის დასაწინაურებლად საზღვარი არ აქვს.

მადლობისავე ღირსნი ბძანდებიან ამა სკოლის მასწავლებელნიც—მეფისაშვილი, ასათიანი და ხელსაქმის მასწავლებელი.

მესხ. გ. გვარამაძე.

—

**სოფ. ქოშხა** (ლეჩხუმის მაზრა). არ მგონია, რომ საქართველოს რომელსამე მხარეში მოიპოვებოდეს სწავლა-განათლების მხრივ ისეთი ჩამორჩენილი და მიყრუებული სოფელი, როგორიც ს. ქოშხაა. ამ სოფლისათვის თითქო ბედს ურგუნებია მუდამ სიბნელეში ყოფა-ცხოვრება... ვიმეორებ, ს. ქოშხა მეტის-მეტ უკიდურეს მდგომარეობაშია სწავლა-განათლების მხრივ, თუმცა ამასთანავე ეკონომიურად არაფრით არ ჩამოურჩება ლეჩხუმის მაზრის სხვა სოფლებს. ამ სოფელში არ არის არც სამკითხველო, არც ქსენონი და არც რაიმე სხვა ამ გვარივე დაწესებულებათაგანი, თუმცა ყველა საჭიროა აქაურ მცხოვრებლებისთვის, მით უმეტეს, რომ ს. ქოშხა დიდს მანძილზეა მოშორებული იმ სოფლებს, სადაც ეს საზოგადო დაწესებულებანი არსებობს.

არ შემიძლია აქავე არ აღვნიშნო, სხვათა შორის, ის ფრიად სამწუხარო მოვლენა, რომელიც მშვენივრად გვიხატავს თვალ-წინ აქაურ სწავლა-განათლების მდგომარეობას: იშვიათად შეხვდებით მთელ სოფელში იმისთანა კაცს, რომელიც ჟურნალ-გაზეთებს იწერდეს და მათის საშუალებით ცოტა-ოდნავ მაინც ადევნებდეს თვალ-ყურს სამშობლო ცხოვრების მიმდინარეობას, და იმისთანა კაცს, რომელსაც საზოგადოებისადმი შესტკიოდეს გული და მის ბედ-იღბალისათვის ზრუნავდეს, დიოგენის ფარნითაც რომ ეძიოთ, მაინც ვერ იპოვნით აქ.

სოფელ ქოშხას აქვს ერთად-ერთი, მისთვის გამოუსადეგარი, ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომელიც ს. ჰყვიშში არსებობს და, რომელიც 3—4 ვერსის სიშორეზეა ქოშხიდან, რის გამო ამ უკანასკნელის მკვიდრნი სრულიად მოკლებულნი არიან ამ სასწავლებლით სარგებლობას. ეს სასწავლებელიც კი მცხოვრებთა დაუდევრობით ძლივს ღონღილობს და ღამის სულიც კი განუტევს წიაღთაშინა აბრაამისათა.

აი, ასეთია, ჩვენი სოფლის ყოფა ცხოვრება და მის გაუმჯობესობისათვის კი არავინ იტეხს თავს.

დროა, ქოშხელებო, გამოვიღვიძოთ, ამოვიფშვნიტოთ თვალები და ვჰკითხოთ ჩვენსავე თავს: თუ რა ვიყავით აქამომდე, რა ვართ დღეს, და გავითვალისწინოთ ისიც, თუ რას უნდა მოველოდეთ მომავალშიაც.

ამ უკანასკნელ წლებში ჭირნახულის მოსავალმა ჩვენში ძალიან იკლო, განსაკუთრებით, ღვინისამ, მაგრამ, მაინც, ჩვენი ხალხი თავისას არ იშლის და ისევ მტკიცედ იცავს მამა-პაპისაგან ნაანდერძევ უსარგებლო ჩვეულებას.

ს. ქოშხას მახლობლად მდებარეობს გარდაცვალებულის უგანათლებულესის თ. მინგრელსკის მთა, რომლითაც ამ სოფლის მცხოვრებნი სარგებლობდენ აქამომდე, მაგრამ ამ ჟამად კი ეს მთა დაკავებულია, რის გამო მკვიდრნი ბევრ და მრავალ გვარ გაჭირვებას ითმენენ.

-ზედ ქოშხელი.

# რუსეთი

—

როგორც დეპეშამ გვაუწყა, 4 ივნისს გარდაიცვალა ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორი, გენ. ადიუტ. ნ. ი. ბობრიკოვი, რომელიც რევოლვერით დასჭრა სენატში შესვლის დროს ფინლიანდიის სენატში, ნამყოფის სენატორის შვილმა, ვიღაც შაუმანმა.

განსვენებულს ბობრიკოვს მაშინ მოუხდა გენერალ-გუბერნატორობა ფინლიანდიაში, როცა რუსეთის უმაღლესი მთავრობა მხნედ შეუდგა ახალ პოლიტიკას ამ ქვეყნის გამგეობის საქმეში და მოინდომა ერთხელ და სამუდამოდ გაერთიანება ფინლიანდიისა და რუსეთის იმპერიისა ადმინისტრაციულად.

უმაღლესის მანიფესტით 3 თებერვალს 1899 წელს ფინლიანდიის სეიმს ჩამოერთვა უფლება ზოგიერთის კანონების გამოცემისა, უფრო ისეთის კანონებისა, რომელიც შეეხებოდა ზოგად სახელმწიფო საჭიროებასა ან რომელსაც კავშირი ჰქონდა იმპერიის კანონმდებლობასთან. ამისთანა კანონების შემოღება დაევალა სახელმწიფო საბჭოს ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის, მინისტრ-სტატს სეკრეტარისა და ფინლიანდიის სენატიდან უმაღლესად არჩეულ სენატორების მონაწილეობით.

1 ივნისს 1900 წელს გამოიცა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც საჯარო ყრილობანი, იმ შემთხვევათა გარდა, რომელიც ცალკე იყო მოხსენებული, შეიძლებოდა მხოლოდ გენ.-გუბერნატორის ნებადართვით.

7 ივნისს იმავე წლისას გამოვიდა ბრძანება, რომ რუსული ენა შემოეღოთ საქმეთა წარმოებისათვის ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში და ოფიციალური მიწერ-მოწერაც რუსულად ჰქონოდათ.

29 ივნისს 1901 წელს გამოიცა ახალი სამხედრო წესდება ფინლიანდიის დიდის

# ფელეტონი

—

## ნახული და გაგონილი

### VII.

### ვარძია.

გაგონებით ბევრს გაგეგონებათ ვარძიის სახელი, ნახვით-კი, დარწმუნებული ვარ, ბევრს არ გენახვებათ. ქართველს არ უყვარს მოგზაურობა, მივლა-მოვლა და შესწავლა თვისის მშვენიერის სამშობლოსი. საოცარია სწორედ ეს ამბავი. ძველად ჩვენები ხშირად ანებებდნენ თავს სამშობლოს და შორს მიდიოდნენ. მცირე აზია, ერუსალიმი, სინას მთა, დასავლეთი ევროპა, იტალია, სტამბოლი, რუსეთი და სხვა, ყველგან მიდი-მოდიოდნენ ქართველნი. საყიზილბაშოს ხომ ნუღარ იტყვით. თავრიზ-თეირანის გზა ისე ჰქონდათ გათელილი, როგორც დღეს გოლოვინის პროსპექტი აქვთ გატკეპნილი უსაქმო ქუჩის მტკეპნელებს. მარტო მეფე გიორგი XI მოიგონეთ. ეს საოცარი მეფე-რაინდი შავარდენივით დაჰქროდა სპარსეთის მაშინდელს ვრცელს ტერრიტორიაზე რაღაც ხუთასიოდე ქირთველით. ძვლებიც იქ ჩაყარეს ვაჟკაცებმა უნაყოფოდ და უსარგებლოდ თვისის დამწვარისა და დადაგულის სამშობლოსთვის. ქართველს, როგორც სამხრეთის მკვიდრს, ერთს ადგილას არ უნდა უყვარდეს ჯდომა, რადგან აშმორება იცის, მაგრამ მაინც ეხლანდელს ქართველს არ უყვარს მოგზაურობა, არ ეტრფის მიხედ-მოხედვას ევროპიელივით.

კარ-ჩაკეტილობა წინადაც არა გვყვარებია, ვიყავით და ვართ სტუმართ-მოყვარენი, გულ-ახდილნი, ბუნება ხელს გვიწყობს გავინძრეთ, თუ შორს არა, შინ მაინც მივინძრ-მოვინძრეთ, მაგრამ არა, არ იქნა, ვერ შევეჩვიეთ მოგზაურობას. ასე გასინჯეთ, ჟურნალი «მოგზაურიც» დავაარსეთ, მაგრამ ვერც ამან შეგვაყვარა მგზავრობა.

რა გაეწყობა, წუწუნით საქმე არ გაიჩარხება. მე მაინც ჩემსას არ დავიშლი და ხანდახანობით ნახულსა და გაგონილს გაგიზიარებთ. საგანი საუბრისა ამ ჟამად ვარძია გახლდება. ისტორიულსა და გეოგრაფიულ ცნობებს ბევრს არას მოგახსენებთ. ეს ვისთვისაა საჭირო? სულ ერთია, სანახავად არავინ გამოიქცევა და, მაშასადამე, ამ ცნობებს ვერ გამოიყენებს. ისიც კი უნდა მოგახსენოთ, რომ ვარძიის შესახებ ისე მცირეა ჩვენი ლიტერატურა, რომ სირცხვილით იწვი, ოდეს გაითვალისწინებ ამ გონების მჭლე ნაწარმოებს. ქართულად მხოლოდ ერთი საკმაოდ ვრცელი წერილი მახსოვს ჯავახეთიდგან გ. შატბერაშვილისა, რუსულად კიდევ პატარა წიგნაკი დეკანოზ დ. ღამბაშიძისა და ორიოდე სიტყვა ე. გ. ვეიდენბაუმს აქვს ნათქვამი კავკასიის გზის მაჩვენებელში. მე მეტი არ ვიცი. შეიძლება რამე გამომეპარა, მაგრამ ვგონებ, რომ არა. მცხეთის ტაძარივით ვარძიას ჯერ საკუთარი ნატროშვილი არ გასჩენია.

შარშან-წინ ორჯერ ზედი-ზედ ვნახე ვარძია. პირველად გზა ლეპისის სამამასახლისოდან გვქონდა გასავლელი. ორი დღის სიარულმა ამ გახრიაკებულ და მელოტივით მოტიტვლებულ ქვეყანაში, არდაგნის ოლქის სამზღვარზე, ტანში მოგვშალა. ზაფხულობით მზე ისე იკბინება; ცხარე, გავარვარებული სხივები ისე გესობა სახეში, თითქოს განგებ ეკლითა გჩხვლეტენო. ნაზი კანი ვერ უძლებს მჩხვლეტავ სხივებს, ბურცდება და სკდება. სახე თანდათან ილანძება და ილეწება. მტვერი და ქარი ხომ ისე შაშრავს აბურცებულს და ალაგ-ალაგ დახეთქილს კანს, რომ არ იცი, სად წაიღო და როგორ დამალო ტანჯული პირის-სახე. ქალაქურ კოსმეტიკის ნაწარმოები, როგორიც ვაზელინია და მისი მსგავსი ნაირნაირი წამლები, აქ, ექვსი ათასის ფუტის სიმაღლეზე, ყოვლად გამოუსადეგარი და უძლურია. ბატის სუფთა ქონი არ მიცდია, მაგრამ ვგონებ, რომ ეს შინაური წამალი აჯობებს ვაზელინსა და გლიცერინს.

კლდეში გამოქვაბული ვარძიის მონასტერი მტკვრის ვიწრო ხეობაშია, სადა ზაფხულობით ძალიან ცხელა, ზამთრობით თბილა. ზემოდ, კლდის თავზედ 20—25 გრადუსიანი ყინვა იცის, ძირს კი ამავე დროს ზომიერი ჰავაა. ვარძიის ქვემოდ, სოფ. გოგაშნის პირდაპირ, მტკვარი ისე მოჰქუხს, როგორც თერგი. საამოა მისი შუილი და ბობოქრობა წყნარ და მთვარით გაკაშკაშებულს ღამეს. აზვირთებულის და აქაფებულის თერგის «სიძლიერე» და «სიცოცხლე» ი. ჭავჭავაძემ პოეტურად შეამკო. მის ზვირთებსა და ტალღებში პოეტმა «სიცოცხლის» სიმბოლო დაინახა. აქ, ვარძიასთან, ან ზემოდ მტკვრის თერგისებური ხათქა-ხუთქი რომ ენახა პოეტს, მაშინ თერგის მაგიერ მტკვრის მოუსვენრობა გახდებოდა «სიცოცხლის» სიმბოლოდ. ხომ სულ ერთია, მაგრამ, რაც უნდა იყვეს, გულს უფრო იამებოდა მტკვრის «გაპატიოსნება», მისი სიცოცხლის აღნიშვნა, რადგან მტკვარი ჩვენია სათავიდან შესართავამდე. დღეს კი მარტო ნ. ბარათაშვილის «მოდუდუნე» მტკვარი გვაქვს. გიჟმაჟობა ადამიანს ახალისებს, დუდუნი სევდასა ჰგვრის. მაგრამ რას იზამ, ასეთი ყოფილა ბედის წერა.

თერგივით მტკვარი შეზღუდულია მაღალის მთებით. ძირობებში ბაღებია გაშენებული. ზემოდ, მთის წვერებზედ და შემდეგ გავაკებულ მინდვრებზე, ჩირგვი არ მოიპოვება; აქ, მტკვრის პირას, ხეხილია გაშენებული. კონტრასტი სწორედ დიდი და ძლიერია.

მონასტერი გამოქვაბულია მტკვრის მარცხენა ნაპირს მდებარე კლდის ფერდობში. კლდე თანდათანობით კი არ ეშვება მტკვრისაკენ, არა, ისეა ჩაშვებული, თითქოს სარი დაურსვიათო. ამისათვის სამხრეთ-ჩრდილოეთიდგან ვარძიას მისასვლელი გზები ცუდი აქვს, აღმოსავლეთით (სოფ. ხერთვისიდან) და დასავლეთით (ჩილდირიდგან, არდაგანის ოლქი) ვაკე გზებია.

პირველ გზობას ს. აგარიდგან ჩაველით ვარძიას. ამ სოფლის მკვიდრნი ნახევარი მართლმადიდებელი ქართველია, ნახევარი გამაჰმადიანებული ქართველობა. გვარები სულ იმერულია. ყური მოვკარ, ვითომც ეს ქართველობა იმერეთიდგან იყოს გადმოსული. ისეთი სიბნელეა გამეფებული ამ უბედურს კუთხეს, რომ რიგიანად ვერას შეიტყობ. ორიოდე ქართველთა სოფელს დღეს თარაქამა ახვევია გარსა. აბა თარაქამას ხსენებაზე სიბნელის მეტი რა უნდა წარმოიდგინოთ?

გზა რომ ვახსენე, მართლა გზა არ გეგონოთ. დაქანებულ მთა-კლდის ფერდობზე ზოლივით მიიკლაკნება მიხვეულ-მოხვეული საცალფეხო ბილიკი. დიდ ხანს ვიარეთ ამ უბედურისა და კისერ-მოსატეხი ბილიკით. ეხლაც ვერ გამიგია, როგორ დადის ხალხი ზამთარ-ზაფხულ ამ საშმაკო და სატარტაროზო გზით. საკმარისია მცირედათ ფეხი მოგისხლტეთ და დაეშვებით ძირს, უფრსკულში, სადაც ყვავ-ყორანიც ველარ მიაგნებს თქვენს დაფლეთილს ლეშსა. ვიდრე სამშვიდობოს ჩავიდოდი, მე ჩემი დამემართა. თავს ბრუ დამესხა, მუხლები ამიკანკალდა, გულმა აჩქარებით ძაგა-ძუგი დაიწყო. ჩემს თანამგზავრსაც ჩემსავით გასჭირვებოდა ჩამოსვლა. ეს მერე გამოირკვა, წინ მიდიოდა და მაშინ რას გავიგებდი. ღმერთმა უშველოს აგარელებს. ზოგი წინ მიგვიძღოდა, ზოგი უკან და გაჭირვების დროს შეგვეშველებოდნენ ხოლმე. ბატონს უჩიოდნენ და თურმე ეს იყო მიზეზი, რომ ბლომად გამოგვყვნენ და დიდხანს არ გვშორდებოდნენ. უნდოდათ დაენახვებინათ ის საძოვარი, რომელიც ბატონმა ჩამოართვა. ცხვირ წინ ვერას ვხედავდი, საძოვრისას რას გავიგებდი. გაკვირვებით კი ეხლაც მიკვირს, იმ კისერ-მოსატეხ კლდეებზე რა პირუტყვმა უნდა მოიკიდოს ფეხი, რომ მოსწიწკნოს დამჭკნარი ბალახი, ან რაა კაცის ბუნება, რომ სადავოდ გახადოს უმგზავსი კლდე და ააყაყანოს მის გულისათვის ეს ბუნების შვილნი?

სამთავროსათვის. უქვეშევრდომილესი ადრესი ფინლიანდიის მოქალაქეთა ამ ახალის წესდების გამო დატოვებულ იქმნა უშედეგოდ. ამასთანავე, რაკი ადრესზედ ხელი ეწერა ბევრს თანამდებობის კაცს და დიდებულს, მოწოდებულთ უმაღლესის ადგილების დასაჭერად, იმიტომ რომ სანდო კაცებად იყვნენ ცნობილნი უმაღლესად, ნება-დართულ იქმნა, რომ ის დიდი ადგილები, რაკი შესაბამი კანდიდატები არ იყვნენ, დაეჭირათ ფინლიანდიის მკვიდრთ.

1901 წელს გამოიცა განკარგულება, მოემატოს რუსულ ენის გაკვეთილებს ფინლიანდიის რეალურ ლიცეიებში და შეიქმნას მათი რიცხვი 30-მდე კვირაში. ამავე წელს გამოვიდა განკარგულება, რომ სხვა-და-სხვა თანამდებობანი სენატში, ცენტრალურსა და საგუბერნიო მმართველობაში დაეჭირათ ხოლმე რუსულის მცოდნეთა; ხოლო რადგან ამისთანები არ არიან, ეს თანამდებობანი დაუჭერელნი დარჩა.

უმაღლესის ბრძანებით, რომელიც გამოიცა 7 სექტემბერს 1902 წელს, შემოღებულ იქმნა დათხოვნა სამსახურიდან მოხელეთა და მოსამართლეთა საადმინისტრაციო წესით. ამ ბრძანების გამოცემამდე-კი — არა მარტო მოსამართლენი, არამედ უმეტესობაც კი მოხელეთა, ვერ იქმნებოდნენ დათხოვნილნი იმათ გარდა, ვისაც ეჭირა დიდი ადგილი (ნდობით მისდა მინიჭებული). ამ დროსვე გამოიცა უმაღლესი ბრძანებანი, რომლითაც ფინლიანდიის გენ.-გუბერნატორს მიეცა ღონისძიება, გაეფართოვებინა თვისი გავლენა სენატის მოღვაწეობაზედ. 1902 წელს სამუდამოდ იქმნა გაუქმებული ფინლიანდიის ჯარი და მხედრობა და სამხედრო მმართველობანი და პირველად იქმნენ მოწოდებულნი ჯარის კაცნი ახალის სამხედრო წესდებითა.

## ნ ა რ კ ვ ე ვ ი

«მოსკ. ვედ.»-ს გულმა ვეღარ მოუთმინა და თავისებურის გულთა-მხილობით გაილაშქრა იმისთანა პატიოსან გაზეთის წინააღმდეგ, როგორიც არის «რუსკ. ვედ».-ი. გაზეთმა არც აცივა, არც აცხელა და თავის მოძმეს დააბრალა რუსეთის სიძულვილი, სამშობლოს ღალატი. შენ გამოსთქვი სურვილი, რომ კორეა თუ დაჰკარგავს თავის გამოუკიდებლობას, სჯობს ისევ იპონელებს ჩაუვარდეს ხელში და არა რუსეთსაო. ასე აბეზღებს «მოსკ. ვედო».-ი გაზ. «რუსკ. ვედ.-ს და თან დასძენს, ვერ იტყვი, დღევანდელს მდგომარეობაში, რა აზრს ადგია გაზეთი, წინააღმდეგია თუ არა ჩვენის სამშობლოს მტრებისაო. აი მაგალითად, «რუსკ. ვედ.»-იმ დაბეჭდაო, განაგრძობს გაზეთი, — ისეთი წერილი, რომელიც იაპონიისადმი თანაგრძნობით არის გამსჭვალული, აქებს თავიდან ბოლომდე იაპონიას, გუნდრუკს უკმევს მის წეს-წყობილებას, მის კონსტიტუციას. ამისთანა წერილი დაჰბეჭდა და შენიშვნა კი არა მისცა-რაო. დაიცადოს მაინც იმ დრომდე, ვიდრე შორეულ აღმოსავლეთში შესწყდება რუსთა სისხლისღვრა იაპონელთა ტყვია-ყუმბარებისაგანაო.

—

მხნედ და აღფრთოვანებით იცავს ქ-ნი ირინა დე გაზ. «რუსში» დედაკაცის ბუნებრივს უფლებას შვილის ყოლისას.

ქალი უნდა გათხოვდესო, ამბობს ყველა. კიდევ კარგი იქნებოდა, რომ საზოგადოება ხ... თუ ამ უფლებას... ტოვებს და... [illegible]

ქალი უნდა გათხოვდესო, ამბობს ყველა. კიდევ კარგი იქნებოდა, რომ საზუთად მოჰყავდეთ უოვლად-ბუნებრივი და კანონიერი სურვილი ქალისა დედა შეიქმნას, დედობა გასწიოს. მაგრამ ეს აგრე არ არის. რამდენადაც ყველას კანონიერად მიაჩნია სურვილი გათხოვებისა და ქორწინებისა, იმდენად სურვილი დედად გახდომისა, თუ ეს დედად გახდომა ქორწინების გარეშე მოჰხდა, სამარცხვინოდ მიაჩნიათ. ჯერ ცოლიო და დედა მერეო. ვიმეორებ: ცოლად ყოფნა მუდამ საპატიოა, დედად ყოფნა კი ხშირად სამარცხვინოა.

და აი რაღაც საოცარი, ბარბაროსული რამ ჩნდება. ქალი გაჩენილია დედობისათვის ბუნებითვე, ხოლო ეს ყოვლად ბუნებრივი, უდავო და უცვალებელი მისი დანიშნულება, ადამიანთა აზრით, ათას სხვა პირობაზე უნდა იყოს დამოკიდებული. ქალის უფლება დედად გახდომისა თავის თავად კი არ არის შეწყნარებული, არამედ დამოკიდებულია მამა-კაცის ნებასა და სურვილზედ. დედობა სირცხვილში აგდებს ქალს, თუ კაცს არა სურს გამოაცხადოს საზოგადოების წინაშე, რომ დაბადებული მისი შვილია.

წმინდა უფლება დედად გახდომისა, მოვალეობა დედად ყოფნისა გადიქცევა ხოლმე წყაროდ უდიდესის ტანჯვა-ვაებისა, უმძიმესის დანაშაულობისა. «განა დედაკაცმა უნდა გაჰბედოს და დედა გახდეს, თუ მამაკაცმა არ გვითავდება, რომ იმ ქალის დაბადებული ბავშვი ჩემთვის სასიამოვნოა და ძვირფასიაო? აი ამას ამბობს საზოგადოება, რომლის ხმა ხშირად ჩასძახის მეცლად-დებულს: «მოჰკალ ეგ ნაყოფი ცოდვისა და, იქნება, სამართალში მიგცეთ, მაგრამ გაგამართლებთ კი, ხოლო თუ ამასად გვეტყვი: მე დედა ვარო, სირცხვილის ცეცხლში ჩაგაგდებთ».

ისიცა ჰკლავს! და არავისვის საიდუმლო არ არის მრავალი ამბავი იმისა, თუ ვინ გაიცუდა განგებ მუცელი, ვინ შეიქმნა ისტერიკით შეპყრობილი, ვინ მოჰკლა ყრმა. და ყველა ამისთანები ნახევრად გასათხოვრებთან ერთად ირხეონად სცხოვრობენ, ამაყად დადიან და სამართალი საზოგადოებისაც იპათზედ უთითებს. აიგერა, რა წმინდა ცხოვრების მაგალითნი არიან თქვენთვის, თქვე საწყალნო «დაცემულნო, უძლებნო ასულნო და ბიწიერნოვო»!

ამ შემაძრწუნებელს უბედურობას მხოლოდ ერთი რამ უშველის, სახელდობრ ისა, რომ «ყოველს დედაკაცს ნება ჰქონდეს კანონით დედად ყოფნისა და რომ სახელმწიფომ უზრუნველ-ჰყოს და დაიცვას ეს უფლება».

მალე არ დაგება ეს დრო, მაგრამ როცა კი დადგება ეგ ბრწყინვალე დრო კაცობრიობისა, როცა დედაკაცი აღარ დაჰხნებდება იმიტომ, რომ ისაზრდოვოს და მის შვილებს ნება ჰქონდეთ იცხოვრონ, როცა ქალი გახდება დედად და შიში აღარ ექმნება თავის შვილისა და თავის კეთილის სახელისა, სწორედ მაშინ დაიმსხვრევა ხალხთა ბორკილი და დაიწყება ქეშმარიტი სუფევა ჭეშმარიტის, სასუფარო სიყვარულისა, მაშინ და მხოლოდ მაშინ გაჰქრება ქვეყნად სამუდამოდ სამარცხვინო პროსტიტუცია, აღარ იქმნებიან ბავშვნი, დაბადებულნი კბილთა ღრჭენითა. «ცოდვა», რომელიც დღეს იქცევა კაცთასათესვის თავზედ, გაჰქრება მაშინ. სიყვარული წყევლად აღარ იქმნება მისახნევი. აღარ იქმნებიან ბავშვნი, დაბადებულნი დღოთებისა, გარყვნილ პებრებისაგან, რადგან ქალი თავის ნებით ამასთანებს აღარ დაჰხნებდება. კაცობრიობა განახლდება და ბავშვის დაბადება ნამდვილ სიხარულად გადაიქცევა.

მეტყვიან: გაჰქრება «ლაგამი», ხალხი დაივიწყებს თავ-დაჭერილობას, მაეცემა სავსეოთ ცოდვას და ქვეყანა დაადუპება უზნეობისაგანაო.

როგორც ნისლი მზისაგან, ისე გაჰქრება ეს ტუუილი ნაცილიცა. მიიხედ-მოიხედეთ! განა ქვეყნად სათნოება და სიწმინდე სუფევს ახლა, როცა ასე გულ-მოდგინედ სცდილობენ სიწმინდისა და სხეულის დაცვისათვის?! განა სიმრავლე საროსკიპოთა, ნახევრად გასათხოვართა, «სპეციალ სამკურნალოთა» პაციენტებისა, ყოვლად უგუნურება მოყირჭებულის ხორცის დატკბობისა, განა ეს მეფურად გაშლილი, კაცობრიობის ძალ-ღონის გამომწოვი და თვისის ფესვებით გარშემოხვეული ყვავილი — „Siphilis“ — განა ეს მომასწავებელია, ნიშანია ზნეობისა, ბედნიერებისა, სიყვარულის აყვავილებისა? ნუ იყოფინ!

დედაკაცი მოუსვენრობს, იბრძვის, ეძებს გზას, თავი დააღწიოს ცეცხლს, ეძებს თავის უფლებას, ყველგან მისდგომია კაბებს და ირეკს, გაჭირვებისა და უმეცრების ბორკილებს იშორებს ნელ-ნელა, მაგრამ პირველი საქმე კი, რომელიც მან უნდა მოიქმედოს, პირველი და უმთავრესი-კი, რამაც უნდა აღაფრთოვანოს საბრძოლველად და რისთვისაც უნდა იბრძოლოს — ეგ არის მისი უკანონიერესი უფლება. უფლება დედად ყოფნისა. ეს უნდა იყოს მისი დევიზა, მისი საბრძოლველი ნიშანი. ამ ბრძოლაში არ შეიძლება დედაკაცმა არ გაიმარჯვოს, იმიტომ რომ ეგ უფლება იმავე დროს უფლებაა კაცობრიობის სიცოცხლისა, მისის არსებობისა.

## თეატრი და ხელოვნება

—

**ქ. გორი.** წელს იღბალი არა გვაქვს გორელებს რამდენჯერ გააკრეს აფიშები, წარმოდგენა იქნებაო. ჩვენც ერთ აღტაცებაში ვართ, სულის სიმწარით მოველით წარმოდგენისთვის დანიშნულ დღეს, მივდივართ თეატრის კარ წინ და... დაკეტილია, ბევრჯელ «ღალატიც» მოელანდათ გორელებს... ბოლოს-კი ბედმა გაგვიღიმა და წარსულ კვირას, 6 ივნისს, ქ-ნთ როსტომაშვილმა და რონელმა წარმოადგინეს «უბედური,» 3 მოქ. დრამა კანო და მაზასისა ქართულად და «Влюбленный гимназистъ» — რუსულად. წარმოდგენას ხალხი მრავლად დაესწრო, მოთამაშეებმაც კარგად შეასრულეს თვიანთი როლი. ვოლქვილმაც რუსულ ენაზე კარგად ჩაიარა.

იმავ დღეს გორში ქიდაობა იყო გამართული და, რაც გორში სკამები იპოვება, სულ იმათ წაიღეს; რადგანაც იმათ საღამოთი გვიან გაათავეს, სანამ მერე სათეატრო დარბაზში გადიტანდნენ ამ სკამებს და დაალაგებდნენ, ბევრი დრო გავიდა, ხალხი მიდიოდა დ სკამები კი ჯერ დაულაგებელი იყო. ამიტომ ზოგი წინ ჯდებოდა, ზოგი თავის ალაგს ვერა პოულობდა.

კარგი იქნება, რომ რამდენიმე წარმოდგენა კიდევ გამართონ გორში.

## დ ე პ ე შ ა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ივნისი.

**ხარბინი.** (საკუთ. კორესპ.)· 26 მაისამდე პორტ-არტურში მშვიდობიანობა იყო. ჩვეულებრივი დენა ცხოვრებისა არ შესცვლილა. ყველა თავის საქმეს ადგია. უქმე დღეებში ბულვარზე მუსიკა უკრავს, აქ იკრიბებიან არტურლები და დალნელები, რომელნიც დარდს არ შეშინებიან. «რეტვიზანი» და «ცესარევიჩი» მზად არიან და შეუერთდნენ ესკადრას. «პობედა» მზად იქნება ივნისის პირველს რიცხვებში. «ნოვი კრაი» ყოველ დღე დაუყონებლივ გამოდის.

**ნიუ-იორკი.** გრაფმა კასსინმა წინადადება მისცა სახელმწიფო მდივანს გეის, ჩინეთის და შეერთებულ შტატების ნეიტრალიტეტის გამოცხადების გამო, რომ მიაქციონ ყურადღება იაპონიის ელჩის ტაკახარისა იმ სადღეგრძელოს, რომელიც წარმოსთქვა საზღვაო ატაშემ კაპიტანმა ტაკესიტამ 28 მაისს ამერიკიულ-აზიურს საზოგადოებაში სადილის დროს, რომელსაც დაესწრო ჩინეთის პრინცი პულუნი. ტაკესიტამ წარმოსთქვა «ბანზაი», რაიც ნიშნავს ძლევას. სადღიგრძელოს ტაშის კვრით მიეგებენ. გრაფმა კასსინმა განაცხადა, ერთს რომელიმე წევრს რუსეთის საელჩოსას რომ გაებედნა ამ ნაირი საქციელი, იგი 24 საათის განმავლობაში გააძევებდა იმას ქვეყნიდან.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ინდოეთის საქმეთა სტატს-სეკრეტრის შეკითხვაზე ბროდრიკმა განაცხადა, ბრიტანიის მთავრობა დათანხმდა, ვადად დანიშნოს 12 ივნისი; ამ ვადაზე თიბეთის მისსია უნდა წავიდეს ლხასსა, უკეთუ ამ ვადაზე არ გამოგზავნიან გიანგცზეს რიგიანს შუამავლს ერთად ჩინეთის ამბანით. შემდეგს შეკითხვაზე ბროდრიკმა განაცხადა, მისაშველებელი ჯარი ექსპედიციისა უკვე გიანგცზეს გასცდა. ბოლოს ბროდრიკმა სთქვა, რუსეთმა იცის ინგლისის აზრი სიზოგადო პოლიტიკურს საქმეთა შესახებ. მიწერ-მოწერის გამოქვეყნება კარგი არ იქნება და აწინდელს დროს უადგილოც არის. გარეშე საქმეთა მინისტრმა ყველაფერი დაწვრილებით შეატყობინა რუსეთის ელჩსა იმის შესახებ, რაც კი გააკეთა ბრიტანიის მთავრობამ.

**მადრიდი.** დაიჭირეს ის კაცი, რომელსაც მინისტრ-პრეზიდენტის მაურას მოკვლა უნდოდა.

**ჩიკაგო.** რუზველტის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევა საეჭვო არ არისო.

**ბოზროვი.** ქარშიშხალმა და სხვილმა სეტყვამ მთელ ქალაქში ფანჯრები ჩაამტვრია, ჩარეგვა ბაღები, ნათესები და დახოცა მრავალი პირუტყვი, ზარალი საგრძნობელია.

9 ივნისი.

**პეტერბურგი.** დეპეშა ვიცე-ადმირალ სკრიდლოვისა 8 ივნისის თარიღით მისს უდიდებულესობასთან: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას შემდეგსა: „30 მაისს იაპონიის ფლოტის წინააღმდეგ გაიგზავნა კრეისერთა რაზმი, რომელშიც იყო «როსია», ვიცე-ადმირალის ბეზობრაზოვის ბაირაღით, «გრომობოი» და «რიურიკი». 7 ივნისს, ღამე, რაზმი ვლადივოსტოკს დაბრუნდა. თავის მოგზაურობაზე რაზმის უფროსმა გვაუწყა: 2 ივნისს დილით რაზმი მოვიდა ჩრდილოეთიდან სიმონოსეკის სრუტესთან, ეს 20 მილზე იდგა იქიდან, როდესაც შეამჩნიეს ცის იერზე ორი გემი, რომელსაც მდევარი დაადევნეს, მაგრამ გემებს ვერ დაეწივნენ სიშორისა გამო. ამავე დროს გამოჩნდა მესამე გემი, რომლის შეპყრობა მიენდო კრეისერ «გრომობოის». ის გემი, რომელიც შემდეგში ტრანსპორტი «იცზუმარუ» აღმოჩნდა, არა ჩერდებოდა, თუმცა ბევრნაირად მოსთხოვეს, იქნამდე, ვინემ რამდენიმე ყუმბარა არ მოხვდა: მაშინ კი გაჩერდა. ხალხი გემიდან ცვივოდა. «გრომობოიმ» ანიშნა, ხალხი გადასულიყო გემიდან, რაც ორის ნავის შემწეობით შეასრულეს. ზღვაში ჩაცვივნულნი კი კრეისერის პატარა გემმა ამოსხა წყლიდამ და გადასხა «გრომობოიზე». ტრანსპორტი «იცზუმარუ» კი, რომელიც იტევდა სამი ათასს ტონსა და ეზიდებო-

—

მეორე გზა ლეპისის სამამასახლისოდან ვარძიას ს. ზედათმოგვიდანაა. ამ სოფლის მკვიდრნიც მართლ-მადიდებელი ქართველობაა იმერულის გვარებით. სულ „ძე“, შვილი არსადაა. ამ გზით არ მივლია, მაგრამ აგარისას არ ემჯობინება. მაზრის უფროსს გაევლო ამ გზით ჩემზე წინ და სულ ბედს იწყევლიდა. ეს ყველა კარგი, მაგრამ ვარძია როცა ჰყვაოდა, ნუ თუ მაშინაც ასეთი მისასვლელი გზები ჰქონდა? ეს შეუძლებელია. ვარძიიდან 10—12 ვერსის მანძილზე ს. კარზამეთია. დიდებული ტაძარი დაუწყვია თლილის ქვისა მაწყვერელს (აწყურის ეპისკოპოზს), საქენ ნახევარი აუტანია, მოსულან ოსმალონი და დარჩენილა ტაძარი დაუმთავრებელი. კარის თაღზე ხუცური წარწერა გვიამბობს აღმშენებელის ვინაობას. განა შესაძლებელია, რომ ვარძიიდგან 10 ვერსის მანძილზე დიდებული ტაძარი შენდებოდეს დ გზა-კვალი-კი არ ჰქონებოდა მონასტერს ლეპისისაკენ? ზეპირ-გარდმოცემა ამბობს, რომ თამარ მეფეს ზედა სოფლებში (დღესაც კაი საძოვრებია) დიდძალი ძროხა ჰყავდაო, იქ მოწველილი რძე მონასტერ-სასახლეში მილებით ჩამოდიოდაო. თუ ციცაბო კლდეზე მილები დააწყეს რძის სადენად, უეჭველია, გზასაც გამოჰქვაბავდნენ კლდეებში, ხოლო დრომ და ჟამთა ვითარებამ ალბად დააქცია. ეხლანდელი აგარისა და ზედათმოგვის ბილიკები-კი «დღევანდელი» ქართველის უნარია.

როგორც იქმნა, ჩავედით ძირსა, მტკვრის ნაპირას. მცირე მანძილი გავიარეთ და დავინახეთ მონასტრის დანგრეული ზღუდენი და დაზიანებული სამრეკლო. მონასტრის სენაკებს, ეკლესიებს და გალავანს მხოლოდ ერთის მხრიდან დაინახავთ კარგადა, მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან. უფრო კარგად იმ მაღლობიდანა სჩანს, სადაც დაფენილია ორი ქართველთა პატარა სოფელი: გოგაშენი და აფნია.

დღევანდელი ვარძია, კლდეში გამოქვაბული მონასტერი, ეს დიდებული ნაშთი დიდებულის წარსულისა, მინგრეულ-მონგრეულია, გავერანებული, პატივსა და დიდებას აყრილი, გვირგვინ-ახდილი და კერა-ჩამქრალი. უპატრონოდ დარჩენილს მონასტერს სტიქიონი უფლობს და ნუ-ღარ გაგიკვირდებათ, თუ მისი სენაკნი ხვლიკთა და ღამურათა ბინად გადაქცეულა.

სიტყვით ვერ ვიტყვი იმ გულის სიმწვავეს, რომელიც ჩემს სულიერს არსებას მოედო, ოდეს ვიხილე ეს შეუბრალებელი გავერანება და გოხრება-გატიალება. უნებურად ოცნება-ფანტაზიამ გამიტაცა, ბურბუშელასავით დამტაცა ხელი და თვის დაუსრულებელ სამეფოში ამომაყოფინა თავი. ხილვა ვარძიისა, მისი შესწავლა სრულიადაც აღარ მეპიტნავებოდა, ფასი და გემო დაუკარგა დროებით მის ნანგრევებს, გონება ბურუსში გაეხვია, ხოლო ოცნება ცეცხლივით აპრიალდა. ნუთუ ეს მინგრეულ-მონგრეული ვარძია სიმბოლოა დღევანდელის საქართველოსი? «ყაჩაღობა» ხომ დღესაც არ შეწყვეტილა? გულისა და სულის ამომგლეჯი ყაჩაღი უფრო სასტიკი და საშიში არ არის, ვიდრე თოფ-იარაღიანი ფირალი? ვინც მახვილით პარპაშებს, მახვილივე დაჰღუპავს. სულისა და გულის «ნადირს» რიღათი უნდა შეხვდე! ამის უებარი წამალიც არის. ესაა ხასიათის სიმტკიცე, სიკაჟე სულისა, გარჯა-მომჭირნეობა და თვით ცნობიერობა. ვაი რომ ვკოჭლობთ და გვაკლია ეს თვისებანი, თორემ, იცოცხლეთ, ბუზსაც ვერავინ აგვიფრენდა.

კლდის მესამე სართულში სახელმწიფო საბჭოს დარბაზია, სიგრძით თორმეტი არშინი. ეხლა ამ დარბაზს დივანხანას ეძახიან. შიგა სდგას სამეფო ქვის ტახტი, დარბაისელთა და მსაჯულთა საჯდომნი, რასაკვირველია, ქვა-კლდისავე, სხვა-და-სხვა ადგილს ამოჭრილია თახჩები, ზოგი ხატების დასასვენებლად, ზოგი კანონთა დასალაგებელია. იქვე ცალკე პატარა ოთახია გადაწყვეტილ საქმეთა და სიგელ-გუჯართა დასაცველად, ანუ ეხლანდელი არქივი..

დივანხანის თავზე ცალკე ოთახია, სიგრძით 9 არშინი, სიგანით 6. ზეპირგადმოცემით თამარ მეფის საწოლი და მოსასვენებელი ოთახი ყოფილა. საკუჭნაო და სალოგინე ცალკეა, სადარაჯო ოთახი კიდევ ცალკე. ნეტა რა ხელმა და მარჯვენამ გამოჰკვეთა ეს აუარებელი ოთახსენაკნი?

დარბაზი მტკვარს თავზე დასცქერის. ამ სიმაღლიდან მჩქეფარე, მაგრამ „უღობლო“ მტკვარი პატარა მდინარედ მოსჩანს. მისი შუილი, ძირს ძლიერი, ხოლო ზევით დანაზებული და მუსიკალური, დილაობით და ღამ-ღამობით, როცა ბუნება დაწყნარებულია, დარბაზს სწვდება და სიამოვნებას ჰფენს «სენაკთა სამეფოს». სწორედ ნეტარებაა ამ დარბაზიდან აღმოსავლეთისკენ ცქერა, ფანტაზიის შემწეობით თამარის მეფობის ხილვა, წარმოდგენა და გათვალისწინება ამ საკვირველის დედა-კაცის ძლევა-მოსილებისა.

უნებურად, იმავე ცხოველ ფანტაზიის დახმარებით, მინგრეულ-მონგრეული, მტვრითა და ნაკვით სავსე დარბაზი, ანუ დივანხანა, გავამშვენიერე, მოვრთე, მოვკაზმე თამარის შესაფერად, სამეფო ტახტზე დავაბრძანე თვით «ბრწყინვალე» მეფე, მდივანთა ადგილებზე ჩავამწკრივე თამარის დროის დარბაისელნი: სასულიერო, საერო და სამხედრო მოღვაწენი და გავმართე ბჭობა, თამარის თავმჯდომარეობით. გონების თვალით სულ ადვილად წარმოვიდგინე ყველა ის დიდებული საქმენი, რაც ამ ობობას ქსელით გაბლანდულს დარბაზში გაირკვა და გადასწყდა. ხომ ბავშობაა ამის თქმა, მაგრამ მაპატიეთ. დამენანა, სწორედ გული მეტკინა, რომ მეც მონაწილეობა არ მიმიღია მაშინდელის სახელმწიფოს საბჭოს საქმიანობაში, რათა სავსებით, სრულის მოქალაქობრივის უფლება მოსილებით ერთი წუთი მაინც მეცხოვრა, ერთი წუთი მაინც გულ-მკერდს ლაღად ამოესუნთქა. მაგრამ მონობაში დაბადებული და აღზრდილი, მორჩილებას და დატუქსვას მიჩვეული, დაკნინებულის თაობის შვილი, იმ თაობისა, რომელსაც «სამშობლოდ» ის სოფელი მიაჩნია, სადაც თვითონ დაბადებულა და რომელსაც «იმერი და ამერი» სხვა ტომისა დი ერის კაცად მიაჩნია, ღირსი-კი ვარ ამ უმაღლესის სამოქალაქო ბედნიერებისა? გული გაგვიტყდა, სამშობლოსთვის თავ-დადებაზე ფიქრსა და ზრუნვას გადავეჩვიეთ. ჩემი თუ არა გჯერათ, აბა, მოისმინეთ, რასა სთხოვს მხცოვანი პოეტი აკაკი განსვენებულის პეტრე უმიკაშვილის სულსა: შეგვავედრე ზეცასაო,

«რომ ჩაგვბეროს მაღლით ძალი
ჩვენ აქ, დღეს გულ-გატეხილებს,
და გვასწავლოს სამშობლოსთვის
თავ-დადება შვილი-შვილებს».

კარგად ვიცი, რომ მოქალაქობრივი ბედნიერება ციდან ჩამოყრილი მანანა არ გახლავთ. დიდი შრომა და გარჯაა საჭირო მის საშოვნელად. ნატვრით და ოცნებით ვერას გავხდებით, ფონს ვერ გავალთ. მაგონდება თავადი ბისმარკი, ეს რკინის კაცი, მისი ფოლადივით მაგარი, მკაცრი და თან გესლიანი, შხამიანი სიტყვა, რომლითაც ბერლინის კონგრესზედ მიჰმართა ერთს სამშობლოს აღმადგენელს სასულიერო წოდების მოღვაწეს. ითაკილა «მოღვაწემ» შხამიანი, მაგრამ მართალი სიტყვა, გაებუტა ბისმარკს და მეორე დღეს სადილად არ ეწვია, მაგრამ რაო? ბუტიაობით რომ «ჩატეხილი ხიდი» კეთდებოდეს, ან «დანგრეული ოჯახი» შენდებოდეს, შენი მტერი, დღევანდელი მაკედონია «ბუტიაებით» გაივსებოდა და მაშინ იქ კაცს აღარ გაევლებოდა.

ა. ფრონელი.

და ჯარებსა და ბარგსა ბრძოლის ველზედ, ყუმბარების სროლით ჩაიძირა. 105 კაცში, რომელიც კრეისერმა გადიყვანა, 17 აფიცრის წოდებისა იყო. როცა «იცზუმარუ» ჩასძირეს, „გრომობოიმ“ შენიშნა კიდევ ორი გემი, რომელსაც ის გამოეკიდა. გემები ტრანსპორტები აღმოსჩდნენ—„სადომარაუ“ და «ხიტაჩუმარუ», თითო 6 ათასი ტონნისა, ტრანსპორეტებზე, სამხედრო ბარგის გარდა, აღმოსჩნდნენ—პირველზე ტელეგრაფის უწყების ხელოსნები 12 აფიცრით, ცხენები და ტყვია-წამალი, ხოლო მეორეზე—1000 ჯარის-კაცი და სამხედრო ბარგი. «სადომარუს» დაჰერა «როსსიას» მიენდო, «ხიტაჩუმარუსი» — „გრომობოის“, რომლისთვისაც თავი უნდა დაეხწია როგორმე; მაგრამ როცა ყუმბარების სროლა დაუწყეს, ჩაუშვა ნავები. გემი ძალიან მძიმე-მძიმედ იძირებოდა, ამიტომ „გრომობოის“ ებძანა, ჩქარა დალუპოს გემი, რაც კრეისერმა ძალიან მალე შეასრულა. გემი «სადამარუც», რომელსაც «როსსია» გამოუდგა, რამდენიმე სროლის შემდეგ გაჩერდა და ჩაუშვა საჩქაროდ ნავები, ზოგი მათგანი გადაბრუნდა, ზოგში ჩასხდა ხალხი და გასწიეს კუნძულ ტოუსთმა და იკისთმასაკენ. კარგი დარი იყო და ზღვაც დამშვიდებული. კრეისერ „რიურიკს“ ებრძანა მიელო გემზე აფიცრები, ჯარის-კაცნი და კომანდა, მაგრამ შესაძლებელად აღმოჩნდა მიეღოთ მხოლოდ ოთხი უცხოელი და 24 ოფიცერი; დანარჩენებმა ტრანსპორტს თავი არ დაანებეს; მაშინ კრეისერ „რიურიკს“ ებძანა, ნაღმებით დაუღუპა გემი. პირველის აფეთქებით გემი არ ჩაიძირა, ამიტომ მეორე ნაღმი ესროლეს და მაშინ ტრანსპორტი წავიდა ძირ-ძირ ზღვაში. როცა ტრანსპორტების საქმეს მორჩნენ, რაკი ნისლი დგებოდა, რაზმმა განაგრძო მგზაურობა. გზაზე სანარის სრუტესაკენ შეხვდათ ბრიტანიის გემი «ალლატონი». იქ გაგზავნილს აფიცერს შკიპერმა უთხრა, მოვდივარ მუროირადან სინგაპურს 6 ათასის ტონნის ნახშირითა. მოსამსახურეთა გამოკითხვამ, საბუთის ქაღალდების გაჩხრეკამ და გემის უწინდელმა საქიელმა,—რადგან იაპონიისათვის სამხედრო კონტრაბანდად გადაჰქონდა,—ეჭვი აღგვიძრა და ამიტომ გავგზავნეთ ვლადივოსტოკს სამხედრო დარაჯ ქვეშ ლეიტენანტ პეტროვ 10-ის უფროსობითა საქმის გასარჩევად. ამ გემებს გარდა კრეისერებს სხვა გემები აღარ შეხვედრიათ. გემებზე აღმოჩნდა ერთი ინტელიგენტი იაპონიის ქვეშევრდომი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, გემის მსახურთ არ ევუთვნოდა“.

— 7 ივნისს ხელმწიფე იმპერატორის, ხელმწიფე მემკვიდრის, დიდთა მთავართა, მინისტრთა და გენერალიტეტის თანადასწრებით მიწას მიაბარეს სერგის მონასტერში გვამი გენერალ-გუბერნატორის ბობრიკოვისა.

**კოვნო.** ველიკომირში დამწვართ სახლობანი საშინელ გაჭირვებაში არიან; გადაიწვა ათასი სახლი; დარჩა უსახლოდ 1500 ოჯახი. საჭიროა, დაუყენებლივ შემწეობა. შემწეობა უნდა გაიგზავნოს საგუბერნიო კომიტეტში დამწვართ შემწეობისათვის; კომიტეტი დაფუძნებულია უფროსისაგან გუბერნატორს თავმჯდომარეობით.

**ვენა.** მარშალმა შაქირ-ფაშიმ იმპერატორს ჩააბარა საკუთარის ხელით დაწერილი წერილი სულთანისა და ორდენის ნიშნები.

**ჰიბრალტარი.** ლისაბონიდან მოსული ამერიკის ესქადრა 9 ივნისს პირვს წავა.

**პინსკი.** მოვიდა ქვეითად მავალი საფრანგეთის მოგზაური ესკნალი, რომელიც ქვეყნის გარემო დადის 1899 წლიდან. ესკნალს შემოუვლია ჯერ-ჯერობით ქვეყნის სამი ნაწილი და ეხლა მიემგზავრება ციმბირს.

9 ივნისი.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალის ფლუგისა მუკდენიდან: «სამხედრო ცენზურა» ხელმწიფის მოადგილის შტაბისა სთხოვს ყველა გაზეთს, რომელსაც ჰყავს თავისი კორესპონდენტი იქ, სადაც ომია, უფრო მტკიცედ შეასრულოს თავისი ვალდებულება და უგზავნოს ხელმწიფის მოადგილის შტაბს ორ-ორი ეგზემპლიარი გაზეთის ნომრებისა, როცა დაბეჭდილია კორესპონდენციები. თუ ხელმწიფის მოადგილის შტაბში ეგ გაზეთები 7 ივლისამდე არ იქმნება მიღებული, ცენზურა იძულებული გახდება აღუკრძალოს კორესპონდენციების წესი ამისთანა გაზეთების კორესპონდენტების იმ დრომდე ვიდრე გაზეთები არ მოვა.

**ნიუ-იორკი.** გაზეთმა «უორლდმა« მიიღო დეპეშა, რომ პოლკოვნიკი ემერსონი, ამ გაზეთის კორესპონდენტი, რომელიც აღმოსავლეთ აზიაში იმყოფებოდა, დაჰხვრიტეს უკუ-ქცეულმა რუსებმა, რადგანაც ეს კორესპონდენტი შეცდომით ჯაშუშად მიიჩნიესო.

**სოფია.** (ოპოზიციის ცნობებით). ის ამბავი, ვითომ ცონჩევი და იანკოვი მაკედონიას მიდიოდნენ, ნამდვილი არ გამოდგა, ისინი სოფიაში რჩებიან და მაკედონელებს ურჩევენ წყნარად იყვნენ.—ოსმალეთის მთავრობას განძრახვა არა აქვს დასთანხმდეს იმაზე, რომ დაურიგდეს მილიონი ფრანკი, რომელიც სოფიაში საადგილ-მამულო ბანკმა მისცა ოსმალეთის ვილაიეტებში მცხოვრებ ბოლგარელთა საჭიროებათათვის, თუმცა ბოლგარიის მთავრობამ ოსმალეთის წინადადება შემწეობათა დარიგების შესახებ შეიწყნარა. პორტამ პასუხის მიცემა გადასდო.

**სტამბოლი.** დიდმა ვიზირმა საბერძნეთის პატრიარქს, შეხვედრის დროს, დაჟინებით მოსთხოვა კუცოვალახთა შესახებ სადავო საქმის გათავება, რადგანაც პატრიარქის მოქმედება პორტასთვის სამძიმოდ მისამჩნევია. საბერძნეთის პატრიარქს არ შეუძლიან თანხმობა გამოაცხადოს, რომ დაარსდეს განსაკუთრებულნი კუცოვალახთა საზოგადოებანი, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება საეკკლესიო უფლებასა.

**სოფია.** (ოპოზიციური ცნობებით). თუმცა ხმებია სამინისტროს კრიზისის შესახებ, მაგრამ ამბობენ, მთავრისა და სამინისტროს შორის სრული თანხმობა სუფევსო.—სოფიის პოლიტიკოსები მთავარ-ფერდინანდის სერბიის მეფესთან მეორედ შეხვედრას უფრო დიდს მნიშვნელობას აძლევენ, ვინემ წინად ფიქრობდნენ და ამ შეხვედრაში ისინი ჰხედავენ, რომ ამ ორ ქვეყნის პოლიტიკურმა დაახლოვებამ დიდი ნაბიჯი წასდგა წინაო.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

8 ივნისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,96 |
| პარიჟში 100 ფრანკში | -- |
| ლონდონში ჩეკები | 95,55 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 91½ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 87 მშვ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 373 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 291 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 255½ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 88½ ნის. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

## განცხადებანი

საცხენისის პირველ-დაწყებით სასწავლებელში (სოფელ ყვარელშია) არის 45 თავისუფალი სახელმწიფო ვაკანსია ამიერ კავკასიის თავად-აზნაურთა და სხვა საპატიო წოდებათა შვილებისათვის. მიიღებენ ბავშვებს 8—10 წლისას.

მსურველთ თხოვნები უნდა მიართვან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს; თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ აგრეთვე დაბადებისა, ჩამომავლობისა, სიღარიბისა და ექიმის მოწმობანი.
(3—6—2).

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.



ამერიკის
ავტომობილები
ბენზინით მოძრავი
ველოსიპედები
ბენზინის მატორებით.
Акц. О-во „ЭНФИЛЬД“
МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.
СПБ. Морская, № 30.
(10—6—10).



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.
პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.
ბ. მ. მირიმანიანისა.
МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
Б. М. МИРИМАНІАНЪ
Тифлисъ, Дворцовая ул.
(1—6—25)




მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდობრინი“ მ. კ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს-ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში —საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში
НАРОДНАЯ МЕДИЦИНА
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა,
ფასი 70 კაპ.
(2—141—2).

საუკეთესო სააგარაკო ადგილები
ზედ სურამის მახლობლად
მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,
ისყიდება
იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.
იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—6)

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვადა და მშვიდებული იყვეთ **იყიდევით,** მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი **„ენდოლიანსი“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ენდოლიანსი“** აძინებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ენდოლიანსი“**, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

**„ენდოლიანსი“** საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დაებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მანეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

განსაკუთრებითი ნაწარმოებია.
(5—6—)

ახალი წიგნი
ს. ს. მელიქ-ადამოვი
ნაფიცი ვექილი
პრაქტიკული სახელმძღვანელო
სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქაღალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,
ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО
для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.
ფასი 1 მან.
ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ სავაჭროში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

გამოვიდა ჲ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი
ლალაფი
დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით.
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
ფასი ერთი მანეთი
„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.

საათფთიაქო ხაქონლის მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობა
ტფილისში
(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).
ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას, ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში უოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების საათფთიაქო და ქიმიური საქონელი და წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქი და ლაბორატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა და სხვა წყალი და მარილი, მრავალგვარი და მრავალ-ფერიანი საპიროვარეშო სამკაული თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვ.
ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ.

Дозволено цензурою Тифлисъ 9 іюня 1904 г.
Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи